



შავი ზრვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

სტრატეგიებზე დაფუძნებული სილაბუსისა და მასალების შემუშავება
აგრარული სპეციალობის სტუდენტებისთვის ინგლისური ენის
პროფესიული ლექსიკის სწავლების მიზნით

თამარ ცხვიტავა

განათლების მეცნიერებების სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლამარა ქადაგიძე

პროფესორი, დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი & აკადემიური წოდება):

1. ნათელა დოლონაძე, პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

2. ლია თოდუა, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

ოპონენტები (სახელი & აკადემიური წოდება):

1. მარინა ზორანიან, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა

2. ირა დანელია, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

ხელმოწერა/signature

3. იან ბოემ - პროფესორი, დოქტორი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ხელმოწერა

შესავალი

ასგარი და მუსტაფა (Asgari & Mustapha, 2011), გუ (Gu, 2003), კითჩაქარნ და ჩოჩიპჟატანა (Kitchakarn and Choocheepwattana, 2012), ქოშა და სალიმიან (Koosha and Salimian, 2010), ლეტჩუმანან და ტან (Letchumanan and Tan, 2011) და რიჩარდსი (Richards, 2002) უცხო ენის სწავლების მიმართულებით იზიარებენ იმ აზრს, რომ კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისათვის აუცილებელია ლექსიკის სწავლების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ვილკინსის (Wilkins, 1972, გვ. 111) თქმით, „გრამატიკის გარეშე გადმოცემული ინფორმაცია შესაძლოა საკმაოდ შეზღუდული იყოს, თუმცა ლექსიკის არცოდნა საერთოდ შეუძლებელს ხდის აზრის გამოხატვას.“ ჯალონგო & სობოლაქის (Jalongi and Sobolak, 2011) მიერ ნაჩვენებია ლექსიკის შესწავლის დადებითი გავლენა კითხვის უნარ-ჩვევებსა და მის მიმართ ინტერესის გაზრდა.

ალი და მისი კოლეგები (Ali et al., 2012), ასევე მოხთარი და მისი კოლეგები (Mokhtar et al. 2010) აცხადებენ, რომ ლექსიკური უნარ-ჩვევების დაბალი დონე შეიძლება აღმოჩნდეს დაბრკოლება საუბრის, მოსმენის და წერის უნარ-ჩვევების განვითარების გზაზე. ალისა და მისი კოლეგების (Ali et al., 2012) მტკიცებით, ლექსიკური მარაგის უკმარისობა იწვევს პრობლემებს არა მხოლოდ კითხვის კომპეტენციაში, არამედ ზოგადად აკადემიურ უნარ-ჩვევებში.

დღესდღეობით, უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ ინგლისური ენის პროფესიული მიზნებისთვის არის ერთერთი სასწავლო კურსი. სასწავლო პროცესის მშობლიურ ენაზე მიმდინარეობის დროსაც კი სტუდენტებს უხდებათ პროფესიული მასალის ონლაინ გაცნობა, სადაც წარმოდგენილი მასალის უდიდესი ნაწილი არის ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტში განათლების მიღებისას სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროფესიული მასალების კითხვის უნარ-ჩვევები და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, საჭიროა მისი პროფესიული ლექსიკის გამდიდრება, რათა მისთვის გასაგები გახდეს პროფესიული ტექსტები. სწორედ ამიტომ, ერთის მხრივ, ლექსიკის სწავლების ეფექტური სტრატეგიები და, მეორეს მხრივ, კითხვის და მოსმენის პროცესში მისი

შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც უცხოური ენის შესწავლისას, ისე პროფესიული კომპეტენციების შეძენისას.

რა ხდის საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესიული ლექსიკის სწავლებას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს?

1. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთერთ მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის გამოცხადება (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2016); სოფლის მეურნეობის დარგში მაღალ-კვალიფიცირებული სპეციალისტებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაზრდა; ცოდნისა და კომპეტენციის შესაბამისად, სხვადასხვა სფეროში ინოვაციური მიდგომის დანერგვა-განვითარების საჭიროების გაზრდა. ეს ყველაფერი მჭიდრო კავშირშია ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის გამდიდრებასთან, როგორც თანამედროვე ინფორმაციის მიღებისა და გაცვლის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორთან (გამომდინარე იქედან, რომ პუბლიკაციის უმეტესობა იბეჭდება ინგლისურ ენაზე).
2. ინგლისური ენის პროფესიული მიზნებით სწავლების საქართველოში ჩატარებული კვლევების რაოდენობა არ არის საკმარისი, ასევე სიმცირით გამოირჩევა სოფლის მეურნეობის მიზნით ინგლისური ენის საერთაშორისო სახელმძღვანელოები.
3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის ვეტერინალური კლინიკა და თანამედროვე, განახლებული ტექნიკით აღჭურვილი საქართველოს კულინარიის აკადემია. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის თანამშრომლობას საქართველოს ქიმიკოსთა პროფესიულ ასოციაციასთან და მათ მიერ ერთობლივად შექმნილ ტესტ-ლაბორატორიასთან. იმისთვის, რომ სტუდენტმა შეიძინოს ცოდნა, რომლის გამოყენებითაც ის ეაფექტურად მუშაობას შეძლებს ზემოაღნიშნულ კლინიკაში, აკადემიასა და ლაბორატორიაში; ასევე იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს მისი კომუნიკაცია და თანამშრომლობა მოწვეულ უცხოელ სპეციალისტებსა და

ექსპერტებთან, სტუდენტი საჭიროებს პროფესიული საკომუნიკაციო ინგლისური ენის სრულყოფილ ცოდნას.

მოუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლებიდან ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში პროფესიული მიზნით ინგლისური ენის სწავლებისთვის, მაინც შეიძლება ითქვას, რომ სწავლების ეფექტურობის კუთხით ჩატარებული კვლევების რაოდენობა არასაკმარისია, განსაკუთრებით კი, ლექსიკის სწავლების სტრატეგიების კუთხით. გამოცდილებისა და კოლეგებთან კომუნიკაციის საფუძველზე მკვლევარს¹ მიაჩნია, რომ აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებისთვის მიწოდებული ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის მოცულობა არ არის საკმარისი და რომ კურსდამთავრებულები არ ფლობენ აუცილებელ და ეფექტურ სტრატეგიებს, რათა გაუმკლავდნენ ყველა იმ გამოწვევას და სირთულეს რაც უკავშირდება ლექსიკის სწავლების სპეციფიკას. ამგვარად, კვლევის ძირითად პრობლემად დისერტაციაში დასახელებულია ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებისა და სათანადო აქტივობების განვითარება, რომლებიც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს გააგრძელონ ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის გამდიდრება და აღნიშნული უნარ-ჩვევების გამოყენებით პროფესიული და კარიერული განვითარება.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი არის შემდეგი:

- მოხდეს ტერმინის „ლექსიკის სწავლების სტრატეგია“ განმარტება და სიცხადის შეტანა ამ ტერმინთან დაკავშირებით. ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლების განვითარების მიზნით შეთავაზებულ იქნას მისი ტიპოლოგია, რომელიც ეფექტური იქნება ამ მისნების მისაღწევად.
- გაანალიზდეს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა.
- ინგლისური ენის სპეციალური მიზნებისთვის კურსისთვის შემუშავდეს სილაბუსი, სასწავლო მასალები და აქტივობები აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რომლებიც იქნება სტრატეგიებზე დაფუძნებული.

¹ დისერტაციის ავტორს, თამარ ცხვიტავას

- შესწავლილ იქნას საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ინგლისური ენის პროფესიული მიზნებიტ სწავლების მდგომარეობა და, მიღებულ სედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდეს მისი გაუმჯობესების მიმართულებები.
- შემუსავებული სილაბუსის, მასალისა და აქტივობების გამოყენება მათი ეფექტურობის დადგენის მიზნით.

კვლევის ჰიპოთეზა

იმისათვის, რომ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს ეფექტურად ვასწავლოთ ინგლისური ენის პროფესიული მიზნით, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი:

- სხვადასხვა დონის ლექსიკის სწავლება (ზოგადი ინგლისური ენის ლექსიკა, რომელიც ხშირად გამოიყენება პროფესიული ინგლისური ენის სწავლების პროცესში, ზოგადაკადემიური ლექსიკა, ზოგადი სოფლის მეურნეობის ლექსიკა და ლექსიკა სტუდენტის ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით);
- ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებზე დაფუძნებული სილაბუსის შემუშავება;
- ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებზე დაფუძნებული აქტივობებისა და სილაბუსის გამოყენება.

კვლევის მეთოდები :

- ლიტერატურის ანალიზი შესასწავლ საკითხებზე და მასზე დაფუძნებული თეორიული დასკვნების გაკეთება;
- კითხვარების გამოყენება სოფლისმეოუნეობის დარგის სტუდენტებისათვის ინგლისური ენის სწავლების მდგომარეობის შესასწავლად, ასევე ექსპერიმენტის დაწყებამდე და მის შემდეგ საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების სტუდენტების კმაყოფილების შესწავლის და შედარების მიზნით;
- ექსპერიმენტის ჩატარება, რომელშიც მონაწილეს იღებდა საკონტროლო ჯგუფი (ტრადიციული გზით სწავლება - ლექსიკის სწავლების სტრატეგიებზე ნაკლებად ორიენტირებული) და ექსპერიმენტული ჯგუფი (რომლის სწავლებაც მიმდინარეობდა ჰიპოთეზის თანახმად, ლექსიკის შესწავლის სტრატეგიების საფუძველზე);

- ექსპერიმენტის და კითხვარის საშუალებით მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

ამგვარად, კვლევის მეთოდები იყო რაოდენობრივი და ემპირიული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებულ კვლევაში ასევე ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა თვისობრივი მონაცემები, რომელიც მიღებულ იქნა კითხვარში არსებული ღია კითხვების საშუალებით.

სიახლე

საქართველოში პროფესიული ინგლისური ენის სწავლება 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ხორციელდება და სწავლების შედარებით ახალ მეთოდად ითვლება, მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მიღწეულ იქნა კონკრეტული პრაქტიკული შედეგები ამ საკითხთან დაკავშირებით. არაერთმა არაენოვანი ფაკულტეტების ინგლისური ენის მასწავლებლმა შეძლო განესხვავებინა ზოგადი ინგლისური და პროფესიული ინგლისური ენის სწავლება; ისინი იყენებენ შესაბამის სახელმძღვანელოებს და სწავლების შესაბამის მეთოდებს მიმართავენ. თუმცა, საკმაოდ მწირია ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების და სირთულეების მეცნიერული შესწავლა (Doghonadze, 2011; Zoranyan, 2008). სტრატეგიებზე დაფუძნებული ლექსიკის სწავლების შესახებ კვლევა არ ჩატარებულა საქართველოში.

თეორიული ღირებულება

ზემოაღნიშნული კვლევის თეორიული საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

- ინგლისური ენის პროფესიული მიზნებით სწავლების ხასიათი (Dudley-Evans & St. John, 1998; Hutchinson & Waters, 1987; Stevens, 1988);
- სტრატეგიებზე დაფუძნებული სწავლება (Canale & Swain, 1980; Chamot & Kupper, 1989; Dornyei & Thurrell, 1991; Flavell, 1979; Noles & Dole, 2004; Oxford, 1990, 2003);
- ენის (კერძოდ, ლექსიკის) სწავლების, სწავლისა და შეთვისების თეორიები (Krashen, 1989; Laufer, 2003, Nation, 2001; Richards, 1990).

დისერტაციის თეორიული ღირებულება ეფუძნება შესასწავლ თემაზე არსებული კვლევების ანალიზსა და სისტემატიზაციაში შემდეგი მიმართულებებით: ინგლისური ენის პროფესიული

ლექსიკის სწავლებაზე დაფუძნებული სილაბუსის და სასწავლო გეგმის განვითარება, ლექსიკის სწავლება, ენის სწავლება და სტუდენტებში ლექსიკის სწავლების სტრატეგიების განვითარებისათვის გამოყენებული სტრატეგიების განვითარება და აქტივობების კლასიფიკაცია. ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლების მოდელის შემუშავება არის შემოთავაზებული დისერტაციაში, რომლის ეფექტურობაც შემოწმებულია ექსპერიმენტულად.

პრაქტიკული ღირებულება

პროფესიული ინგლისური ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკული რეკომენდაციები იმაზე, თუ როგორ გაუმჯობესდეს ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლება, ლექსიკის სწავლების რომელი სტრატეგიები ჩამოუყალიბდეს სტუდენტებს და რა აქტივობები იქნას გამოყენებული, შეადგენს კვლევის პრაქტიკულ ღირებულებას. კვლევაში წარმოდგენილი მეთოდები სასარგებლო იქნება როგორც ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლებით დაკავებული მასწავლებლებისათვის, ისე ამ სფეროში მოღვაწე მკვლევარებისთვის. ის პრაქტიკული მასალა, რომელსაც დისერტაცია მოიცავს, შეიძლება გამოყენებულ იქნას ინგლისური ენის პროფესიული სწავლების მასწავლებლების მიერ. აგრეთვე სილაბუსი, რომელიც შეიქმნა ინგლისური ენის სოფლისმეურნეობის მიმართულებით შემსწავლელთათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას პირდაპირ ისე, როგორც არის და მისი მოდიფიცირების გზით.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შესავალს, 3 თავს, დასკვნას და 4 დანართს (6 ცხრილს). მასში წარმოდგენილია 13 ცხრილი და 4 სქემა (ფიგურა).

თავი I - თეორიული საფუძველი (ლიტერატურის მიმოხილვა)

პირველი თავი მოიცავს ინგლისური ენის პროფესიული მიზნებით სწავლების განვითარების ისტორიულ მიმოხილვას. მასში ასახულია სპეციფიური მახასიათებლები სოფლისმეურნეობის სფეროში ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლებისა

და შესწავლის სტრატეგიების კუთხით, ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ლექსიკის შესწავლას, ისე ლექსიკის სწავლასწავლების სტრატეგიის განვითარებას, საკლასო ოთახის მენეჯმენტს, ინგლისური ენის პროფესიული მიზნებით სწავლების სილაბუსის და დამხმარე მასალის შერჩევა-შემუშავების უზრუნველყოფას უნივერსიტეტის სტუდენტების ასაკობრივი ჯგუფებისთვის მახასიათებელი ლექსიკის შესწავლის პირობებში. დისერტაციაში ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ლექსიკა, რომელიც საჭიროა ინგლისური ენის ნებისმიერი პროფესიული მიზნით სწავლებისათვის იმდენად მრავალრიცხოვანი და მდიდარია, რომ მისი შესწავლა უნივერსიტეტში ერთი ან თუნდაც ორი წლის განმავლობაში შეუძლებელია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ვასწავლოთ საბაზისო პროფესიული ენა, არამედ აგრეთვე ხელი შევუწყოთ სტუდენტებს, რომ მათ განვიითარონ ყველა საჭირო სტრატეგია, რათა შეძლონ უცხოენობრივი ლექსიკის მნიშვნელობის გამოცნობა უცხოენობრივი ტექსტის კითხვის და მოსმენის პროცესში, რომ ზემოაღნიშნული სტრატეგიების დახმარებით, ღარიბი ლექსიკის მიუხედავად, სტუდენტებმა თავი გაართვან საუბარს და წერას, ასევე კონკრეტული უნარ-ჩვევების გამოყენებით შეძლონ ლექსიკური მარაგის გამდიდრება მთელი ცხოვრების მანძილზე. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ენის სწავლის სტრატეგიები, კერძოდ ლექსიკის სწავლის, სტრატეგიები იქნება ახსნილი, პრაქტიკაში განხორციელებული და განვითარებული. როგორც ნათელი გახდა გაანალიზებული კვლევების შედეგად, სტრატეგიული სწავლება არის აბსოლიტურად რელევანტური ადრეულ ზრდასრულ და ზრდასრულ ასაკში, შესაბამისად, ლექსიკის დაუფლების და შესწავლის სტრატეგიები სრულიად ადექვატურია უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის შესწავლის სწავლების სტრატეგიები უნდა იქნას განსაზღვრული და შესაბამისი აქტივობები უნდა იქნას განვითარებული, რათა მოხდეს მათი ეფექტური ათვისება ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლების პროცესში. რადგან არსებული სილაბუსები, სახელმძღვანელოები და მათში წარმოდგენილი აქტივობები ცოტა ინფორმაციას მოიცავს ლექსიკის შესწავლის სტრატეგიებთან მიმართებით, ასევე

არასრულყოფილადაა წარმოდგენილი აქტივობები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს განავითაროს საჭირო სტრატეგიები, საჭირო გახდა ახალი სილაბუსის შემუშავება, მისი მოდერნიზება, რათა ის უკეთესად ემსახურებოდეს ზემოაღნიშნულ მიზნებს.

თავი 2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლების სილაბუსის პრაქტიკული საკითხები და მასალის დიზაინი

მეორე თავი ეხება ინგლისური ენის პროფესიული ლექსიკის სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოს შერჩევას. თავი მოიცავს კითხვარს როგორც მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. კითხვარი შედგენილია არსებული სახელმძღვანელოს ეფექტურობის დადგენის მიზნით, რათა დავინახოთ, თუ რამდენად ადეკვატურია წიგნი ზოგადად და განსაკუთრებით ლექსიკის სწავლების კუთხით. სახელმძღვანელო ფასდება ლიკერტის სკალის გამოყენებით (1- სრულებით არ ვეთანხმები, 2- უფრო მეტად არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები, 3 - არ მაქვს მკაფიო მოსაზრება, 4 - უფრო მეტად ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები, 5 - სრულებით ვეთანხმები).

კითხვარი შევსებულ იქნა 10 მოხალისე მასწავლებლის / ლექტორის და 50 მაგისტრატურის სტუდენტების მიერ. კითხვარის შედეგების მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ სტუდენტები მეტ-ნაკლებლად კმაყოფილები არიან არსებული სახელმძღვანელოებით, თუმცა მთლიანობაში ისინი უფრო კრიტიკულები არიან, ვიდრე მასწავლებლები. სტუდენტები ყველაზე ნაკლებ კმაყოფილებას გამოხატავენ მეტისმეტად დიდი რაოდენობით უცხო ლექსიკის და იმით, რომ ლექსიკური დავალებები საკმარისად არ ეხმარებათ მათ ლექსიკის კარგად და ეფექტურად დამახსოვრებაში. ეს ადასტურებს დისერტაციის ჰიპოთეზას, გვიჩვენებს რა, რომ სტუდენტები არ არიან საკმარისად კმაყოფილნი ლექსიკის სწავლებით.

მეორე თავში განხილული აქტივობები ემსახურება ლექსიკის ათვისების და გამოყენების სტრატეგიების განვითარებას, ახდენს ამ სტრატეგიების კლასიფიკაციას და

გვაწვდის მათ კონკრეტულ მაგალითებს. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ინგლისური ენის სწავლების არსებული სასწავლო გეგმა და სილაბუსი გაანალიზებულ იქნა და შემოთავაზებულ იქნა ზემოაღნიშნული სილაბუსის სტრატეგიებზე დაფუძნებული მოდიფიკაცია.

თავი III. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც ემსახურება დისერტაციაში წარმოდგენილი ჰიპოთეზის შესამოწმებლად

აღნიშნულ თავში წარმოდგენილია დისერტაციით გათვალისწინებული ჰიპოთეზის კვლევა. შეიქმნა ორი ჯგუფი: საკონტროლო (ტრადიციული) და ექსპერიმენტული. აღნიშნული ჯგუფები დაკომპლექტებული იქნა სტუდენტების დაახლოებით თანაბარი რაოდენობით, ერთი და იგივე ასაკობრივი ჯგუფით და ინგლისური ენის ცოდნის და უნარ-ჩვევების ერთიდაიმავე დონით. ორივე ჯგუფში იქნა გამოყენებული ერთი და იგივე სახელმძღვანელო (O’Sullivan & Libbin, 2011), ასევე თანაბარი რაოდენობის საათები დაეთმო ინგლისური ენის შესწავლას პროფესიული ანუ სოფლისმეურნეობის მიმართულებით. განსხვავება ზემოაღნიშნულ ჯგუფებს შორის მდგომარეობდა შემდეგში:

ცხრილი # 3.1. განსხვავებები საკონტროლო და ექსპერიმენტალურ ჯგუფებში სწავლების თვალსაზრისით

საკონტროლო ჯგუფი	ექსპერიმენტალური ჯგუფი
მხოლოდ ზოგადი სოფლისმეურნეობის ტერმინოლოგიის სწავლება	სამ-დონიანი ლექსიკის სწავლება (ზოგადი ლექსიკა, რომელიც ხშირად გამოიყენება სოფლისმეურნეობის მიმართულებით წარმოდგენილ ტექსტებში, ზოგადი სოფლისმეურნეობის თემატიკის ლექსიკა, და ვიწრო (კონკრეტული სტუდენტის სპეციალიზაციის) პროფესიული ლექსიკა

ლექსიკური აქტივობები ლექსიკის სწავლების სტრატეგიებზე ყოველგვარი ხაზგასმის გარეშე	ლექსიკის სწავლების სტრატეგიების გამიზნულად განვითარება და მათი ჩართვა ლექსიკის სავარჯიშოებსა და აქტივობებში
უნივერსიტეტის მიერ დადასტურებული ტრადიციული სილაბუსი (არა სტრატეგიებზე დაფუძნებული)	ექსპერიმენტალური სილაბუსი (სტრატეგიებზე დაფუძნებული)

კვლევა ჩატარდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (თბილისი, საქართველო) 2015-2016 აკადემიური წლის სტუდენტ-მაგისტრანტებისთვის მესამე სემესტრის განმავლობაში. ექსპერიმენტი დაიწყო მარტში, მესამე სემესტრის დასწყისში, და გრძელდებოდა 15 კვირის განმავლობაში. ნებართვა ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან. თითოეულმა ექსპერიმენტის მონაწილე სტუდენტმა სიტყვიერი თანხმობა განაცხადა ექსპერიმენტში მონაწილეობაზე, ისინი ასევე ინფორმირებულები იყვნენ იმის შესახებ, რომ სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეეძლოთ უარი ეთქვათ ექსპერიმენტში მონაწილეობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევდნენ, რომ ექსპერიმენტს მათი სწავლისთვის ზიანის მოტანა შეეძლო.

ექსპერიმენტის განმავლობაში ინგლისური ენის პროფესიული მიზნით სწავლება ხდებოდა კვირაში 4 საათი, აქედან 2 საათი ეძღვნებოდა ექსპერიმენტს; ამ ხნის განმავლობაში სტუდენტებმა გაიარეს წინა-საექსპერიმენტო ტესტირება (პრე-ტესტი), კვლევის პერიოდში ტესტირება, კვლევის დასრულებისთანავე ტესტირება (პოსტ-ტესტი) და გადავადებული ტესტი. პრე-ტესტი ჩატარებულ იქნა სასწავლო სემესტრის პირველივე კვირას, კვლევის პერიოდში პირველი ტესტირება - ერთი თვის მოგვიანებით, კვლევის-პერიოდში მეორე ტესტირება - ორი თვის მოგვიანებით, და კვლევის შემდგომი ტესტი - სემესტრის დასასრულს. ექსპერიმენტი ჩატარდა 2015-2016 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში, მაშინ როცა გადავადებული ტესტი ჩატარდა უკვე 2016 წლის ნოემბერში - 4 თვის მოგვიანებით. ამას გარდა, ასევე ჩატარებულ იქნა წინასაექსპერიმენტო და პოსტ-საექსპერიმენტო გასაუბრება

სტუდენტების ორივე ჯგუფში, რათა მომხდარიყო იმის გარკვევა, თუ რა გავლენა იქონია ექსპერიმენტმა ორივე ჯგუფის სტუდენტებზე (რა ცვლილება მოხდა მათ დამოკიდებულებაში იმის მიმართ, თუ როგორ მიმდინარეობდა ლექსიკის სწავლება).

მონაწილეები და პროცედურები

ექსპერიმენტის დაწყების მომენტში აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლობდა პირველი კურსის 60 სტუდენტი. თითოეულმა სტუდენტმა თანხმობა განაცხადა ექსპერიმენტში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მათ შორის ოცდაათი სტუდენტი შერჩეული იქნა შემთხვევითობის პრინციპით, თუმცაღა რამოდენიმე მათგანმა მოგვიანებით შეიჩერა სტუდენტის სტატუსი, ასე რომ ექსპერიმენტის დასასრულს მასში მონაწილეობდა მაგისტრატურის 26 სტუდენტი.

მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციის მხრიდან გაცემულ იქნა ნებართვა ექსპერიმენტის ჩატარებასთან დაკავშირებით, 30 სტუდენტი შერჩეული იქნა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და სტუდენტების გადანაწილება მოხდა ორ ჯგუფში:

ა) ერთი ექსპერიმენტალური (სტრატეგიებზე დაფუძნებული ლექსიკის სწავლების) ჯგუფი (საბოლოოდ 13 სტუდენტი)

ბ) ერთი საკონტროლო (ტრადიციული სწავლების) ჯგუფი (საბოლოოდ 13 სტუდენტი)

მოხალისე სტუდენტები განთავსებულ იქნენ როგორც ექსპერიმენტულ, ისე საკონტროლო ჯგუფში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კვლევის შედეგების ობიექტურობის მიზნით. სტუდენტების ინგლისური ენის დონე პრე-ტესტის შედეგად ექსპერიმენტის დასწყების მომენტში შეესაბამებოდა B1/B2 დონეს.

ექსპერიმენტის მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია და აუხსნეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ექსპერიმენტში, რომელიც ემსახურება აგრარული მიმართულებით ინგლისური ლექსიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა მათ არ მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფი იყო საკონტროლო და რომელი - ექსპერიმენტული. ექსპერიმენტის მინაწილეებს აუხსნეს, რომ მათი პირადი ინფორმაცია, მათ შორის, ქულები და მათ მიერ გამოხატული მოსაზრებები, არ იქნებოდა

ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, რომ ყოველი შედეგი იქნებოდა ანონიმური და გამოყენებული მხოლოდ ექსპერიმენტის ფარგლებში (და რომ მათ პირად და აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენას არ მოახდენდა).

შედეგების გასაზომად გამოყენებული ინსტრუმენტები

ექსპერიმენტების მონაწილეების ლექსიკური უნარ-ჩვევების დონის დასადგენად აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექსიკის ფლობის განმსაზღვრელი ტესტი. ეს არ იყო შესწავლილი მასალის შეთვისების ტესტი, არამედ მათი ენობრივი დონის განმსაზღვრელი ტესტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად შეუძლიათ სტუდენტებს თავი გაართვან ლექსიკის შესწავლას, როგორც ნაცნობ, ისე უცნობ ლექსიკას და რამდენად შეძლებენ ისინი ამ ლექსიკის გამოყენებით გადაჭრან პროფესიული პრობლემები. თითოეული ტესტი - პრე-ტესტი, ექსპერიმენტის მსვლელობისას პირველი და მეორე ტესტი, პოსტ-ტესტი და გადავადებული ტესტი, რომლებიც გამოყენებულ იქნა ორივე ჯგუფში, სტრუქტურულად და შეფასების კუთხით იყო ანალოგიური. ტესტები გამოყენებულ იქნა საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგების შედარების მიზნით.

ცხრილი # 3.2. ტესტის სტრუქტურა და შეფასების სისტემა


დავალება #	დავალების ტიპი	შეფასება
1	შეავსეთ გამოტოვებული ადგილები მოცემული სიტყვებით	20 ქულა (2 ქულა ყოველი სწორი პასუხისთვის)
2	წაიკითხეთ ტექსტი და წარმოდგენილი ტერმინები დაუკავშირეთ მათ მნიშვნელობებს.	20 ქულა (2 ქულა ყოველი სწორი პასუხისთვის)
3	იმავე ტექსტის გამოყენებით შეასრულეთ დავალება და გამოავლინეთ წინადადებები, რომლებიც არის მართალი, ტყუილი ან არ არის ნახსენები.	20 ქულა (2 ქულა ყოველი სწორი პასუხისთვის)
4	მოუსმინეთ ტექსტს და შეასრულეთ დავალება, შეარჩიეთ სწორი ალტერნატივა რამოდენიმე	20 ქულა (2 ქულა ყოველი სწორი პასუხისთვის)

	წარმოდგენილი პასუხიდან.	
5	გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები.	20 ქულა (2 ქულა ყოველი სწორი წინადადებისთვის)

ლექსიკის სწავლებასთან მიმართებით სტუდენტების დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით, ორივე ჯგუფს გადაეცა კითხვარი. სტუდენტებს დაევალებათ ხუთქულიანი სკალით განესაზღვრათ ის, თუ რამდენად ეთანხმებოდნენ ისინი მოცემულ აზრს (ლიქერტის სკალა: 1- აბსოლუტურად არ ვეთანხმები; 2 - უფრო მეტად არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები; 3 - არ მაქვს ნათელი წარმოდგენა მოცემულთან დაკავშირებით; 4 - უფრო მეტად ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები, და 5 - სრულებით ვეთანხმები). აზრების ნაწილი იყო ფორმულირებული პოზიტიურად (მაგალითად: მჯერა, რომ ლექსიაზე ნასწავლი ლექსიკა პროფესიულად გამოსადეგია), მაშინ როცა ზოგიერთი აზრი იყო ფორმულირებული უარყოფითად (მაგალითად: შემოტავაზებული ტექსტი და აქტივობები საჭიროებს ძალიან მდიდარი ლექსიკის ქონას). ეს აზრები მიწოდებული იყო შერეულად, რათა არ ვუბიძგოთ სტუდენტებს კვლევისთვის სასურველი შედეგებისაკენ. ამ გზით უზრუნველყოფილ იქნა კვლევის შედეგების საიმედოობა და სანდოობა. სანამ კითხვარი იქნა გამოყენებული ექსპერიმენტის მსვლელობისას, კითხვარი გამოყენებულ იქნა აგრარული უნივერსიტეტის ინგლისური ენის შემსწავლელი აგრარული მიმართულების სტუდენტებისაგან შემდგარ სხვა ჯგუფში. პუნქტები, რომლებიც მიჩნეულ იქნა ბუნდოვნად (გაუგებრად) ან ურთიერთგამომრიცხავად იქნა ამოღებული.


შედეგები და დისკუსია

ორივე ჯგუფის საშუალო შედეგები და სტანდარტული გადახრა იყო გაანგარისებული. საკონტროლო ჯგუფის შედეგებმა გამოავლინა თანდათანობითი და ნელი ზრდა (55 ქულიდან 59 ქულამდე) ექსპერიმენტის განმავლობაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლისურის გაკვეთილები შეწყდა, მაჩვენებლებმა გარკვეულწილად დაიწია კვლევის პერიოდში პირველი ტესტის დონემდე (56 ქულა), რაც ბუნებრივია, რადგან არანაირი პრაქტიკული სამუშაო არ განხორციელებულა ამ პერიოდში. შედეგები შემდგენიარად გამოიყურება:



გრაფიკი 3.1. საკონტროლო ჯგუფის ტესტის შედეგები

ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგებმა გამოავლინა თანმიმდევრული და შედარებით სწრაფი ზრდა (55→ 68 ქულა) ექსპერიმენტის მსვლელობისას, რაც ადასტურებს ექსპერიმენტული მიდგომის წარმატებას და თანხვედრაშია ამ დრომდე ჩატარებულ კვლევებთან (Lai, 2013; Macaro & Erler, 2008; Mizumoto & Takeuchi, 2009; Urlaub, 2012). თუმცა, მას შემდეგ, რაც შეწყდა ინგლისურის მეცადინეობა, მაჩვენებლებმა მოსალოდნელად დაიწია (67 ქულა), რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან ინგლისურის პრაქტიკული გამოყენება არ იქნა უზრუნველყოფილი. მეორეს მხრივ, შედეგები მცირედით უსწრებდა ექსპერიმენტის მსვლელობის პერიოდში ჩატარებულ მეორე ტესტს. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მონაცემების შემცირება იყო უფრო ნაკლები, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ექსპერიმენტული მიდგომის ნაყოფიერებას. შედეგები წარმოდგენილია შემდეგ გრაფიკზე.



გრაფიკი 3.2. ექსპერიმენტული ჯგუფის ტესტის შედეგები

სტანდარტული მცირე გადახრის და მისი ცვლილების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ჯგუფები იყო საკმაოდ ერთგვაროვანი (სტანდარტული გადახრა დაფიქსირებულია 6.36 და 8.23 შორის, რაც 10-ზე ნაკლებია). ექსპერიმენტის მსვლელობისას მისი სიდიდე შემცირდა, რაც იმის დასტურია, რომ ჯგუფები უფრო მეტად ერთგვაროვანი გახდა. ეს კი გვიჩვენებს, რომ სწავლების ორივე მიდგომა ერთნაირად ეფექტურია ყველა სტუდენტისათვის.

იმის სანახავად, თუ მართლაც გაუმჯობესდა საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები და იმის სანახავად, არის თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შედეგებს შორის, შეწყვილებული ნიმუშების ტესტი იქნა გამოყენებული SPSS სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

ცხრილი 3.3 მოიცავს ექსპერიმენტების შეჯამებას და ცხრილი 3.4 წარმოადგენს ყველა საჭირო მონაცემს, რომ მოხდეს იმის გამოთვლა, თუ რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულია ტესტის შედეგები საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში პრე-ტესტისა და ექსპერიმენტის პერიოდში ჩატარებული პირველი ტესტის განმავლობაში.

ცხრილი 3.3. ექსპერიმენტის შედეგების სეჯამება													
	სტუდენტი	პრეტესტი	პრეტესტის #1-ს	ტესტის #1	ტესტის #2-ს	ტესტის #1	ტესტის #2-ს	ტესტის #1	ტესტის #2-ს	პოსტ-ტესტი	პოსტ-ტესტის	გადავადებული	გადავადებული
საკონტროლო ჯგ.	ნათარობა	სტესტი	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის
ექსპერიმენტი ჯგ.	ნათარობა	სტესტი	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის	სტანდარტული შედეგის
	13	55.23	7.16	56.08	6.76	57.46	6.77	59.07	6.49	56.23	6.35		
	13	55.23	8.23	58.61	7.96	62.69	7.38	67.69	7.02	66.54	7.67		

ყოველგვარი სტატისტიკური ტესტის გარეშეც ცხრილი 3.3-დან ნათელია, რომ არ არსებობს არანაირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება საშუალო პრე-ტესტის შედეგებში ორივე ჯგუფში (55.23). თუ ჩვენ შევადარებთ ყველა ტესტის შედეგის დინამიკას (პრე-ტესტიდან დაწყებული პოსტ-ტესტის ჩათვლით) ორივე ჯგუფში (ცხრილები 3.4, 3.5 და 3.6), დავინახავთ, რომ 95% საიმედოობის ინტერვალში ორი ჯგუფის შედეგებს შორის განსხვავება იქნა დადგენილი როგორც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რადგან ე.წ. ორკუდიანი მნიშვნელობა უდრის 0.113-ს, რაც მეტია, ვიდრე 0.05. ძლიერი კორელაცია იქნა დაფიქსირებული - 0.999 - მიდგომასა და მის შედეგებს შორის.

ცხრილი 3.4. წყვილის ნიმუშის სტატისტიკა საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფების შედეგების მიხედვით

	საშუალო ქულა	გაზომვის რაოდენობა	სტანდარტული გადახრა	სტანდარტული საშუალო ცდომილება
საკონტროლო ჯგუფი	56.9600	4	1.68022	0.84011
ექსპერიმენტული ჯგუფი	61,0550	4	5.37293	2.68646

ცხრილი 3.5. წყვილი ნიმუშების შორის კორელაცია საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში

	N	კორელაცია	მნიშვნელობა
საკონტროლო/ექსპერიმენტალური ჯგუფი	4	0.999	0.001

ცხრილი 3.6. წყვილი ნიმუშების ტესტი საკონტროლო და ექსპერიმენტალური ჯგუფების შედეგების მიხედვით

	დაწყვილებული სხვაობები					t	d f	საიმედოობა (ორ-კუდიანი)
	საშუალო	სტანდარტული გადახრა	საშ.სტანდარტული ცდომილება	განსხვავებებს შორის 95% საიმედოობის ინტერვალი				
				lower	upper			
წყვილი 1 საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფები	- 4.0950 0	3.69604	1.84802	- 9.976 22	- 1.786 22	- 2.2 16	3	0.113

როგორც უკვე იქნა აღნიშნული, კითხვარი იქნა გამოყენებული ორივე ჯგუფში ექსპერიმენტის ჩატარებამდე და მის შემდეგ, იმისთვის რომ გვეჩვენა, თუ რამდენად შეიცვალა კმაყოფილების დონე და ლექსიკის შესწავლის პრობლემები ტრადიციული და ექსპერიმენტული სწავლების ფარგლებში. 5-ქულიანი ლიკეტრის სკალის ფარგლებში საშუალო შედეგები 3.5 ზევით შეიძლება მოვიაზროთ როგორც გამოხატულ აზრთან ძლიერი თანხმობა.

ცხრილი 3.7. პრე და პოსტ-კითხვარების საშუალო შედეგების შედარება საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში

კითხვები / შედეგები	საკონტროლო ჯგუფი		ექსპერიმენტული ჯგუფი	
	წინა-	პოსტ-	წინა-	პოსტ-

	კითხვარი	კითხვარი	კითხვარი	კითხვარი
1. მჯერა, რომ ლექციების პერიოდში ნასწავლი ლექსიკა არის პროფესიულად გამოსადეგარი	3.85	4.23	3.77	4.23
1. ტექსტები და აქტივობები საჭიროებს მეტისმეტად დიდი რაოდენობით ლექსიკის ცოდნას	3.31	3.08	3.31	2.85
2. როცა მხვდება სიტყვა, რომელიც არ ვიცი / არ მახსოვს, ვგრზნობ თავს დაბნეულად და რთულია ჩემთვის გავაგრძელო კითხვა / მოსმენა	4.31	3.92	4.08	2.69
3. საუბრის / წერის დროს თუ მჭირდება სიტყვა, რომელიც არ ვიცი, ვეღარ ვაგრძელებ საუბარს ან წერას და შესაძლოა ვერ დავასრულო დავალება.	3.92	3.46	3.49	2.46
4. ვახერხებ დავიმახსოვრო შესასწავლი სიტყვების უმეტესობა	3.31	3.85	3.31	4.08
5. მჯერა, რომ კურსი მეხმარება ლექსიკის გამდიდებაში	4.08	4.31	4.00	4.54
6. ხშირად ვუშვებ შეცდომას, როცა ვცდილობ გამოვიცნო უცხო სიტყვის მნიშვნელობა	3.31	3.00	3.31	1.69
7. ლექსიკონის გამოყენება არ იძლევა ჩემთვის მნიშვნელოვან ეფექტს, რადგან ერთ სიტყვას როგორც წესი აქვს რამოდენიმე მნიშვნელობა	3.38	3.08	3.15	2.46
8. სწავლება მთლიანობაში მამზადებს შუალედური და ფინალური გამოცდებისათვის	3.62	3.92	3.85	4.38
9. მე შემიძლია გავუმკლავდე ლექსიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს აგრარული თემატიკის ტექსტების მოსმენისა და წაკითხვის, ამ თემებზე საუბრისა და წერის დროს.	3.38	3.46	3.69	4.38

- შესაძლებელია იმის დანახვა, რომ საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებმა საკმაოდ პოზიტიურად შეაფასეს პროფესიული გამოყენება იმ ლექსიკისა, რომელიც მათ

ასწავლეს (3.85), ეს განცდა განსაკუთრებით გაიზარდა კურსის დასასრულისკენ (4.23) – ზრდა 0.38 ქულით ან 9.9%-ით. ექსპერიმენტული ჯგუფის თავდაპირველი მოსაზრება არის ცოტა ნაკლები (3.77), ნებისმიერ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი არის საკმარისად მაღალი. პოსტ-ექსპერიმენტულმა კითხვარმა მოგვცა ნამდვილად უფრო მეტი საშუალო შეფასება ექსპერიმენტული ჯგუფის მიერ (4.23). ეს გვიჩვენებს, რომ გამოყენებულმა სტრატეგიებმა ლექსიკის სწავლების კუთხით მნიშვნელოვნად გაზარდა სტუდენტების კმაყოფილება - ზრდა 0.46 ან 12.2%.

- საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების უკმაყოფილება საკუთარი ლექსიკური უნარ-ჩვევების დონესთან დაკავშირებით არ არის მეტისმეტად მაღალი, მაგრამ საკმაოდ წონადია (3.31). სწავლის შედეგად ის გარკვეულწილად შემცირდა (გახდა 3.08) – 0.23 ქულით ან 6.9%-ით შემცირება. ექსპერიმენტული ჯგუფის უკმაყოფილების საწყისი დონე არის იგივე (3.31). თუმცა, ის შთამბეჭდავად შემცირდა ექსპერიმენტის შემდეგ (გახდა 2.85)- 0.46 ქულით ან 13.9% -ით.

- საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების თავდაჯერებულობის მაჩვენებელი ღარიბი ლექსიკის გამო საკმაოდ დაბალია, ამიტომაცაა რომ უცნობ სიტყვასთან შეხვედრა ქმნის სერიოზულ პრობლემას კითხვის და მოსმენის გაგრძელებისას (4.31). თუმცა სწავლების პერიოდში ეს პრობლემა შემცირდა, ის კვლავ საკმაოდ სერიოზულია (3.92) – შემცირება 0.39 ქულით ან 9% -ით. ექსპერიმენტამდე უცნობი ლექსიკა არის დიდი დაბრკოლება ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებისათვისაც - (4.08). თუმცა, სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ექსპერიმენტის ბოლოს. ახლა მათ აქვთ სტრატეგიები იმისთვის, რომ გადალახონ ეს პრობლემა და იგრძნონ თავი უფრო თვით-დაჯერებულად (2.69)- შემცირება 1.39 ქულით ან **34.1%**-ით.

- საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები განიცდიან საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს, როდესაც მათ არ შეუძლიათ გაიხსენონ საჭირო სიტყვა საუბრის და წერის დროს (3.92), თუმცა პრობლემა უფრო მსუბუქია კითხვის ან მოსმენის დროს, სავარაუდოდ გამომდინარე იქედან, რომ მათი უნარი მოახდინონ პერეფრაზირება არის უკეთესი ვიდრე მათი უნარი მნიშვნელობის განმარტებისა. ექსპერიმენტის შემდეგ, მათ უფრო იშვიათად ექმნებათ პრობლემა (3.46), თავიანთი

გამდიდრებული ლექსიკის წყალობით - პრობლემა შემცირდა 0.46 ქულით ან 11.7%-ით. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებთან, ლექსიკის ნაკლებობა არის გასაგებად სერიოზული მიზეზი ინგლისური ენის გამოყენების დროს (3.49), საუბრის და წერის დროს, უმეტეს შემთხვევაში იმავე მიზეზების გამო როგორც საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს. ექსპერიმენტის შემდეგ მათი პერფორმანსების უნარ-ჩვევები გაიზარდა და პრობლემა მნიშვნელოვნად შემცირდა (გახდა 2.46) - 1.03 ქულით ან **29.5%**-ით.

- ექსპერიმენტამდე საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები ახერხებდნენ საკმაოდ დიდი რაოდენობით შესწავლილი სიტყვების დამახსოვრებას (3.31). პრაქტიკის საშუალებით, ეს უნარ-ჩვევა მნიშვნელოვნად გაიზარდა (3.85) – ზრდა 0.54 ქულით ან 16.3%-ით. ექსპერიმენტალურ ჯგუფში, თავდაპირველად სტუდენტებს შეეძლოთ დამახსოვრებინათ იმავე რაოდენობის ნასწავლი სიტყვა, როგორც საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს (3.31). ექსპერიმენტის შემდეგ მათი უნარი მნიშვნელოვნად გაიზარდა, საჭირო და სასარგებლო სტრატეგიების გამოყენებით (4.08) - 0.77 ქულით ან **23.3%**-ით.

- საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს თავდაპირველად სჯეროდათ, რომ ეს კურსი გაზრდის მათ ლექსიკურ უნარ-ჩვევებს (4.08). ექსპერიმენტის შემდეგ მათი მოსაზრება გარკვეულწილად გაუმჯობესდა (4.31) – 0.23 ქულით or 5.6%-ით. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს აგრეთვე ჰქონდათ საკმაოდ პოზიტიური მოლოდინი კურსის მიმართ (4.00). კურსით მათი კმაყოფილება იყო მნიშვნელოვნად მაღალი, ვიდრე მათი მოლოდინი (4.54) – 0.54 ქულით ან 13.5%-ით.

- საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები საკმაოდ ხშირად უშვებდნენ შეცდომებს სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობისას (3.31). პრაქტიკის შემდეგ აღნიშნული პრობლემა შემცირდა (3.00) - 0.31 ქულით ან 9.4%-ით. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებიც თავდაპირველად უშვებდნენ შეცდომებს სიტყვის მნიშვნელობის გამოცნობისას (3.31), მაგრამ ექსპერიმენტის ბოლოს სიტყვის მნიშვნელობის არასწორად გამოცნობის შემთხვევები დრამატულად შემცირდა, შესაბამისი

სტრატეგიების განვითარების საშუალებით (1.69). ამ საკითხში ნაჩვენებია ყველაზე დრამატული შემცირება (1.62 ქულით or **48.9%** - ით), რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი მიდგომა არის განსაკუთრებით ეფექტური მნიშვნელობის გამოვლენის სტრატეგიების განვითარების კუთხით.

- საკმარისად ბევრი სტუდენტი საკონტროლო ჯგუფში ფიქრობს, რომ ლექსიკონი არ არის დიდად გამოსადეგი მათთვის (3.38). ექსპერიმენტის დასასრულს, შესაბამისი პრაქტიკის შემდეგ ლექსიკონი გახდა გაცილებით საჭირო და სასარგებლო (3.08) – 0.3 ქულით ან 8.9%- ით. ექსპერიმენტული ჯგუფისთვის სიტუაცია იყო იგივე ექსპერიმენტის დაწყების მომენტში (3.15), მაშინ როცა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ ლექსიკონით უკმაყოფილების რაოდენობა შემცირდა (4.46) უფრო მეტად ვიდრე საკონტროლო ჯგუფში - 1.31 ქულით ან **41.6%**. - ით.

- საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს მატ-ნაკლებად ჯეროდათ ექსპერიმენტის დაწყებისას, რომ სწავლება მთლიანობაში მოამზადებდა მათ გამოცდებისთვის (3.62). მათი რწმენა გამყარდა ექსპერიმენტის დასასრულს (3.92) – 0.3 ქულით ან 8.3%-ით. რაც შეეხება ექსპერიმენტალური ჯგუფს,მათი მოლოდინი ასევე იყო საკმაოდ მაღალი (3.85) (ორივე შემთხვევაში, სავარაუდოდ ბაკალავრიატის ინგლისურის კურსზე დაყრდნობით). ექსპერიმენტის შემდეგ, მათი რწმენა გამყარდა უფრო მეტად, ვიდრე ეს მოხდა საკონტროლო ჯგუფში (4.38), მიაღწია რა საკმაოდ მაღალ დონეს - ცვლილება 0.53 ქულით ან 13.8%- ით.

- ექსპერიმენტის დაწყებამდე საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების დიდ ნაწილს ჯეროდათ, რომ მათ შეუძლიათ გაუმკლავდნენ ლექსიკის პრობლემებს, რომლებიც თავს იჩენენ კომუნიკაციის პროცესში (3.38). ექსპერიმენტის შემდეგ მათი თავდაჯერებულობა სიმბოლურად გაიზარდა, პრაქტიკის საშუალებით (3.46) – 0.08 ქულით ან 2.3%-ით. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს თავდაპირველად საკმაოდ დიდი მოლოდინი ქონდათ კომუნიკაციის დროს ლექსიკურ პრობლემებთან გამკლავების კუთხით (3.69). ექსპერიმენტის შემდეგ, ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს ჰქონდათ იმის რწმენა, რომ მათ თითქმის

არ ექმნებოდათ კომუნიკაციის დროს ლექსიკასთან დაკავშირებული პრობლემები (4.38). საკუთარი თავის რწმენის მაჩვენებელი გაიზარდა 0.69 ქულით or 19%.

შეზღუდვები

კვლევა განხორციელებულ იქნა მაგისტრატურის მხოლოდ 26 სტუდენტის მონაწილეობით მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში საქართველოში. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში (ინგლისური ენის აგრარული მიმართულების მაგისტრატურის სტუდენტების ერთი ჯგუფისთვის სწავლება). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს სხვა უნივერსიტეტი, რომელიც ასწავლის ინგლისურ ენას აგრარული მიმართულებით, კვლევა, რომელიც მოგვცემს უფრო მეტად განზოგადოებულ შედეგებს, უნდა იქნას ჩატარებული იმავე უნივერსიტეტში უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რამოდენიმე სემესტრის ვადით, რათა მოხდეს მონაწილეების რაოდენობის გაზრდა, რომ შესაძლებელი გახდეს შედეგების განზოგადოება სრულიად საქართველოს მასშტაბით. აგრეთვე ის უნდა გავრცელდეს ინგლისური ენის სხვა პროფესიული მიზნებით სწავლევის კურსებზე, როგორცაა, მაგალითად ინგლისური ენა ბიზნესისათვის, ტექნიკური მეცნიერებებისთვის და განხორციელდეს სხვადასხვა ქვეყნებში, რათა შეთავაზებულ იქნას ისეთი დასკვნები, რომელთა განზოგადოებაც იქნება შესაძლებელი. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ზემოაღნიშნულ კვლევაში წარმოდგენილია ამ საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ანალიზი და რომ განხორციელებულია მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, მიღებულ დასკვნებს მაინც აქვს გარკვეული თეორიული ღირებულება.

ამგვარად, კვლევის ჰიპოთეზა შემოწმებულ იქნა ექსპერიმენტულად. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს ინგლისურ ენას პროფესიული (აგრარული) ლექსიკის მიმართულებით ასწავლიდნენ უნივერსიტეტში არსებული სილაბუსის მიხედვით ლექსიკის სწავლების სტრატეგიებზე დაყრდნობით, მათ მიეწოდებოდათ შერჩეული სამ-დონიანი ლექსიკა და ისინი ასრულებდნენ გამიზნულად შერჩეულ აქტივობებს, რომლებიც ეფუძნებოდა ლექსიკის დამახსოვრების, გახსენებისა და გამოყენების სტრატეგიებს. ექსპერიმენტის შედეგები გვიჩვენებს, რომ:

ა) ორივე ჯგუფმა გაზარდა თავიანთი ლექსიკური უნარ-ჩვევები, ამგვარად, როგორც ტრადიციული, ისე ექსპერიმენტალური მიდგომები ხასიათდება გარკვეული ეფექტურობით;

ბ) ექსპერიმენტულ ჯგუფში მიღებული შედეგები აჩვენებს მაჩვენებლის ზრდას (55.23 ქულა - პრე-ტესტში და 66.54 - გადავადებული ტესტში), რომელიც სერიოზულად აღემატება საკონტროლო ჯგუფში მიღებულ შედეგებს (55.23 პრე-ტესტი და 56.23 - გადავადებული ტესტი), და ეს განსხვავება არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

ზემოაღნიშნული შედეგები ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას. გარდა ამისა, კითხვარის ყველა პუნქტი გვიჩვენებს, რომ:

ა) თავდაპირველად ორივე ჯგუფის სტუდენტებს ჰქონდათ პრობლემები ლექსიკის სწავლასთან დაკავშირებით და ლექსიკური მარაგის კუთხით, თუმცა ზოგადად სასწავლო კურსის მიმართ მათ ჰქონდათ პოზიტიური დამოკიდებულება და გააჩნდათ ლექსიკის სწავლის საჭიროების აღქმა.

ბ) ორივე ჯგუფის სტუდენტების განცხადებით მათ ისარგებლეს სასწავლო პროცესით, თუმცა საკონტროლო ჯგუფის გაუმჯობესების დონე არის სიმბოლურიდან საშუალომდე, მაშინ როცა გაუმჯობესების მაჩვენებელი ექსპერიმენტულ ჯგუფში ყოველ დებულებასთან დაკავშირებით უფრო მეტია და უფრო შთამბეჭდავი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. ეს მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მუდმივად მაღალია, ორივეს მხრივ როგორც აბსოლიტური რაოდენობით (ანუ, ქულების რაოდენობით), ისე შეფარდებითი მაჩვენებლით (პროცენტული ზრდა). ექსპერიმენტულ ჯგუფში გაუმჯობესების მაჩვენებელი არის განსაკუთრებით შთამბეჭდავი შემდეგ პუნქტებში: 7, 8, 3, 4 და 5 (22.3% - 48.9%-ით), ყოველი მათგანი უკავშირდება ლექსიკის სწავლების სტრატეგიების განვითარებას.


ამგვარად, როგორც ექსპერიმენტის დაწყებამდე, ისე მას შემდეგ საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში წარმოებული გამოკითხვის შედეგები ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზას.

დასკვნები და რეკომენდაციები

1. პროფესიული ინგლისური ენის სწავლება თავდაპირველად წარმოადგენდა ერთერთ ლინგვისტურ მიმართულებას, რომელიც შეისწავლიდა პროფესიული ინგლისური ენისათვის დამახასიათებელ განსაკუთრებულ თვისებებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შემდეგ ჩატარებული ლინგვისტური კვლევების საფუძველზე მოხდა პროფესიული და ზოგადი ინგლისური ენის სწავლების დიფერენციაცია. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული პროფესიული ინგლისური ენის სწავლება წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს ინგლისური ენის როგორც უცხოური ენის სწავლების სფეროში.
2. ლექსიკის შესწავლა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს ზოგადი უცხოური ენის და განსაკუთრებით პროფესიული მიზნით უცხოური ენის შესწავლისას. ეს კი განაპირობებს ლექსიკის ეფექტური სწავლების აუცილებლობას. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის დონეზე სტუდენტები გამოხატავენ ზომიერ კმაყოფილებას პროფესიული ინგლისურის სახელმძღვანელოსთან, ასევე სილაბუსის, მასალების, აქტივობების და სწავლების მეთოდების თვალსაზრისით. მაგალითად, ბაკალავრიატის 107 სტუდენტმა სახელმძღვანელოს და აქტივობების მიმართ კმაყოფილების შემდეგი მაჩვენებელი დააფიქსირა: 2.7 და 3.1 შორის 5-ქულიან სისტემაში. მაგისტრატურის 50 სტუდენტის კმაყოფილების კოეფიციენტია 3.42 და 5-ს შორის 5-ქულიან სისტემაში, რაც არ არის ცუდი მაჩვენებელი, თუმცა საკითხი, რომელიც შეეხება ლექსიკის სწავლების სტრატეგიებს და სტუდენტების თავდაჯერებულობას ლექსიკური მარაგის გამოყენებასთან დაკავშირებით კვლევის შედეგებში იყო მეტ-ნაკლებად დაბალი (3.42 – 3.76). რაც შეეხება მასწავლებლებს, მათ მიერ სახელმძღვანელოს შეფასება, არის 4.4 და 5.0 შორის, თუმცა კვლავ ის პუნქტები, რომლებიც ეხება ლექსიკის სწავლების სტრატეგიების განვითარებას, შეფასების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (4.4).

3. უცხოური ენის შესწავლის სტრატეგიები ჩაანაცვლებს მექანიკურ დამახსოვრებას, რაც საჭიროებს დიდ დროს საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით ლექსიკის სწავლისასაც კი. ლექსიკის სწავლის მიმართ გააზრობული დამოკიდებულება იძლევა საშუალებას პრაქტიკულად შეუზღუდავად გაზარდოს უცხოური ენის შემსწავლელის ლექსიკური მარაგი და აიყვანოს მისი შესწავლა უფრო მაღალ, კოგნიტურ და მეტა-კოგნიტურ დონეზე.
4. პროფესიული ინგლისურის თითქმის მშობლიური ენის დონეზე ცოდნა არ ნიშნავს თითოეული სიტყვის და ტერმინის ცოდნას მოცემულ პროფესიულ სფეროში, არამედ სტუდენტის უნარს საკმარისად კარგად გაიგოს მოსმენილი ან წაკითხული ტექსტი და გამოხატოს საკუთარი აზრი, როგორც წერილობით, ისე ზეპირად, ჰქონდეს უნარი უცნობი სიტყვების მნიშვნელობის მიხვედრისა და იმ სიტყვების პერეფრაზირების უნარი, რომლებიც აკლია მის ლექსიკურ მარაგს, აზრის ჩამოსაყალიბებლად.
5. ოქსფორდი (Oxford, 2003, p. 8) განმარტავს უცხოური ენის სწავლის სტრატეგიებს როგორც „კონკრეტულ ქმედებებს, რომლებსაც ენის შემსწავლელი ახორციელებს, რათა მან შეძლოს და გაამარტივოს მისი შესწავლა, დააჩქაროს იგი, გახადოს უფრო სასიამოვნო, უფრო თვით-მიმართული, უფრო ეფექტური და ახალ სიტუაციებს უფრო მორგებული“. თაქაჩის (Takač, 2008) განმარტებით, ლექსიკის სწავლების სტრატეგიები არის სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება როგორც ზოგადი ისე პროფესიული ინგლისური ენის შესწავლის მიზნით. ლაუფერის (Laufer, 1998) დასკვნით, ლექსიკის შესწავლა წერისა და საუბრის (როგორც **პროდუქტიული** უნარ-ჩვევების) პროცესში საჭიროებენ განსხვავებულ სტრატეგიებს, მაშინ როცა მოსასმენ და წასაკითხ მასალაზე (როგორც რეცეპტულ უნარ-ჩვევებზე) მუშაობისას ლექსიკის შესწავლა განსხვავებულ სტრატეგიებს საჭიროებს. ამგვარად, განსკუთრებული სტრატეგიები არის საჭირო იმისთვის, რომ განხორციელებულ იქნას პროფესიული (აგრარული) ენის ლექსიკის სწავლება როგორც პროდუქტიული, ისე რეცეპტული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

5. საქართველოს საუნივერსიტეტო განათლებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიული აგრარული ინგლისური ენის სწავლებას, რაც ასევე წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთერთ მთავარ პრიორიტეტს. გამომდინარე იქედან, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოში ინგლისური ენის სწავლება აგრარული მიმართულებით არ არის ოპტიმალური, როგორც აქ წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, საჭიროა განვითარებულ იქნას ლექსიკის სწავლების სტრატეგიების ისეთი მოდელი, რომელიც პროფესიული ინგლისურის სწავლებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, რაც სქემატურად ასე გამოიყურება:




6. მხოლოდ მცირე რაოდენობა სტუდენტების ახერხებს ინტუიციურად განივითაროს სწავლის სტრატეგიები. სტუდენტების უმრავლესობისათვის ლექსიკის სწავლების სტრატეგიების განვითარება არ ხდება ავტომატურად, დამოუკიდებლად, არამედ ლექსიკის შესწავლის პროცესში სხვადასხვა აქტივობების შესრულების გზით, მასწავლებლის და სხვა სტრატეგიულად მოაზროვნე სტუდენტების დახმარებით. ტრადიციული მიდგომით გათვალისწინებული აქტივობები არის იგივე,

განსხვავება მდგომარეობს მასწავლებლის / უფრო მეტის მცოდნე სტუდენტის მხრიდან მოწოდებულ უკუკავშირში. ის არა მარტო განსაზღვრავს, თუ დავალება სწორად ან არასწორად შესრულ იქნა, არამედ ხაზს უსმევს სტრატეგიებზე, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ დავალება წარმატებით შესრულდეს. მასწავლებლის მხრიდან წარმოდგენილი მინიშნებები აუცილებელია ლექსიკის სწავლების სტრატეგიების განვითარებისათვის.

7. ლექსიკის სწავლების სტრატეგიების სწავლება პროფესიული ინგლისური ენის მიმართულებით გამოიყურება ასე :

	ლექსიკის სწავლის სტრატეგიები პროდუქტული უნარ-ჩვევისთვის	ლექსიკის სწავლის სტრატეგიები რესეპტული უნარ-ჩვევისთვის
დამახსოვრების სტრატეგიები →	ლექსიკის სწავლების სტრატეგიები სასაუბრო/ წერითი მიმართულებით მოყოლა, გამეორება, პასუხის გაცემა, დასახელება, ამბის მოყოლა, დიალოგები; დაჯგუფება, შეწყობა, გამოტოვებული ადგილის შევსება, თამაშები, მნომონიკური ხერხების გამოყენება, ლექსიკონის გამოყენება, მოთხრობისა და დიალოგის დწერა.	ლექსიკის სწავლების სტრატეგიები სმენითი/ კითხვის მიმართულებით განმეორებით მოსმენა და კითხვა; დონეების მიხედვით მომზადებული წასაკითხი მასალების კითხვა; გრაფიკულად ორგანიზება
კოგნიტური სტრატეგიები →	ბრეინსტორმინგი როგორც საუბრის-წინა და კითხვის-წინა აქტივობა	მნიშვნელობის გამოვლენა კონტექსტის, ლინგვისტური და ზოგადი ცოდნის საფუძველზე
მეტა-კოგნიტური სტრატეგიები →	საუბრის და წერითი აქტივობის დაგეგმვა; მონიტორინგი (თვით-რედაქტირება); რუბრიკის გამოყენებით თვით და ურთიერთ შეფასება	აუდირებისა და კითხვის აქტივობის დაგეგმვა; თვითშეფასება და ურთიერთ-შეფასება მოცემული პასუხების გამოყენებით.

8. ლექსიკის სწვლის სტრატეგიებზე დაფუძნებული სილაბუსის პროფესიულ ინგლისურ ენაში და სათნადო სასწავლო მასალების მომზადება, დისერტაციაში შემუშავებული მოდელის შესაბამისად, უნდა მიმდინარეობდეს შემდეგნაირად:



9. ლექსიკის სწავლების სტრატეგიებზე დაფუძნებული სილაბუსის განვითარება აგრარული მიმართულებით ინგლისური ენის სწავლებისას, ასევე შერჩეული ლექსიკისა და შექმნილი აქტივობები ტესტირებულ და შემოწმებულ იქნა ექსპერიმენტული კვლევის პროცესში. მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების ლექსიკის უნარჩვევების შეფასებამ გვიჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ზრდა - 3.84 ქულით ან 7%-ით, რომელმაც გადავადებულ ტესტში სტატისტიკურად უმნიშვნელო შემცირება

გვიჩვენა (1 ქულით თუ 1.8%-ით), ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა ბევრად შთამბეჭდავი გაუმჯობესება დააფიქსირეს (12.45 ქულით ან 22.6%-ით პრე და პოსტ-ტესტებს შორის და 11.31 ქულით ან 20.5%-ით პრე და გადავადებული ტესტების შორის). უფრო მეტიც, სტუდენტების მიერ ლექსიკის შესწავლის შესახებ ექსპერიმენტის დაწყებამდე და მის შემდგომ შევსებული კითხვარის შედეგების შედარებითი ანალიზი იგივეს ადასტურებს. კითხვარის შედეგებმა გამოავლინა დიდი გაუმჯობესება ექსპერიმენტულ ჯგუფში (მინიმალურად 12.2% და მაქსიმუმ 48.9%-ით რამოდენიმე კითხვაზე), მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლების გაუმჯობესება უფრო მოკრძალებულია (მინიმუმ 2.3% და მაქსიმუმ 16.3%-ით).

10. რადგან ლექსიკის სწავლების შემოთავაზებული მოდელი, ასევე მოდიფიცირებული სილაბუსი და შედგენილი აქტივობების ეფექტურობა დადასტურებულ იქნა მაგისტრატურის სტუდენტებთან ექსპერიმენტის და გამოკითხვის საფუძველზე, შესაძლებელია მათი რეკომენდირება ფართო გამოყენებისათვის. პრაქტიკული რჩევები ენის მასწავლებლებისთვის:

- ასწავლეთ ლექსიკის 4 ფენა, ნუ ასწავლით მხოლოდ სოფლისმეურნეობის ზოგად ტერმინოლოგიას (ზოგადი ლექსიკა, რომელიც ხშირად გამოიყენება ტექსტების სოფლის მეურნეობის შესახებ, ზოგადი აკადემიური ლექსიკა, ზოგადი აგრარული ლექსიკა, ამ მიზნით სეგიძლიათ გამოიყენოთ ლექსიკონი ო'სალივანისა და ლიბინის სახელმძღვანეოდან (O'Sullivan & Libbin ,2011), რაც სეეხება სხვა ფენებს, გამოგადგებატ დისერტაციის მე-6 დანართი).
- ნუ ასწავლით მხოლოდ ლექსიკას – ასწავლეთ ასევე დამახსოვრების, გამოყენებისა და მნიშვნელობის გამოცნობის სტრატეგიები, დააკავშირეთ ეს სტრატეგიები ენობრივ საკომუნიკაციო სავარჯიშოებთან (კითხვის, აუდირების, საუბრისა და წერის სავარჯიშოებთან). ასწავლეთ შემეცნებითი სტრატეგიები (კლასიფიკაცია, ანალიზი), ჩართეთ სტუდენტები მეტა-კოგნიტურ ანალიზში (საუბარში იმ სტრატეგიების შესახებ, რომლებსაც იყენებენ) და სოციალიზაციის სტრატეგიებში (გაიზიარონ სტრატეგიები წყვილებსა და მცირე ჯგუფებსი მუშაობისას, გამოიყენონ ერთმანეთის პროფესიული ცოდნა, სთხოვონ თანამესაუბრეს დახმარება კომუნიკაციის პროცესში).

სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებული პუბლიკაციების სია:

1. Tskhvitava, T. (2015). Some specificities of agriculture-related ESP teaching. 5th International Research Conference on Education, English language Teaching, English language and Literature in English (IRCEELT), p. 440-445
2. Kadagidze, L., Tskhvitava, T. (2015). Activities of teaching vocabulary through receptive and productive skills in agriculture ESP. *European Conference on Education and Applied Psychology (9th conference)*. Vienna, p. 12-19.
3. Tskhvitava, T. (2016). Vocabulary learning strategies of English for specific purposes students at Agricultural University of Georgia. *Journal of Education in Black Sea Region*, vol. 2, iss. 1, p. 130-141.
4. Tskhvitava, T. (2016). Topic, text and vocabulary selection for the unit structure in ESP agriculture course book. *European Journal of Education and Applied Psychology*, 1, p. 7-9.